# ხელშეკრულება №253

ქ. ყვარელი                                                                 21 დეკემბერი 2010 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ლევან გამსახურდიას სახით, ერთის მხრივ და "შ.პ.ს. „დ და ლ სერვისი" შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ხომასურიძის სახით მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საახალწლო ტკბილეულის შესყიდვა (დანართი 1)

## 2. საქონლის მიწოდების ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა 10 დღე.

2.2. შესასყიდი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 631 (ექვსასოცდათერთმეტი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება.

4.2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. ჩააბაროს აღნიშნული საქონელი და აანაზღაუროს მისი ღირებულება

## 5. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 6. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
მისამართი კუდიგორის ქ. №1;
საბანკო რეკვიზიტები საქ. სს სახალხო ბანკის ყვარლის ფილიალი ანგარიში №33030020 ბანკის კოდი 220101440 საიდენტიფიკაციო კოდი 241578574
„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „დ და ლ სერვისი"
მისამართი ქ. თბილისი აბო თბილელის 10, საიდენტიფიკაციო კოდი 204557461
საბანკო რეკვიზიტები ანგარიშის №4161540   კორ სტანდარტბანკი

ყვარლის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
ლ. გამსახურდია
„_________________"

შ.პ.ს. „დ და ლ სერვისი"-ს
დირექტორი
ა. ხომასურიძე
„_________________"